№ 155 29 ᲛᲔᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1866—1877 29 ᲛᲔᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ № 155

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲘ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲙᲖᲔ, ᲑᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, № 43

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ, ᲑᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ: ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ. ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲐ—8 ᲛᲐᲜ., ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲬᲚᲘᲡᲐ—4 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 50 ᲙᲐᲞ., ᲝᲗᲮᲘᲡ ᲗᲕᲘᲡ—3 ᲛᲐᲜ., ᲔᲠᲗᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ—1 ᲛᲐᲜ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡ, ᲮᲝᲛᲮᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲔᲜᲔᲑᲖᲔ.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ᲓᲘᲓᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲝᲖᲔ—1 ᲠᲣᲑ., ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲖᲔ—8 ᲙᲐᲞ., ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲗᲘ—5 ᲙᲐᲞ., ᲞᲐᲢᲠᲐ—4 Კ.Პ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲛᲝᲛᲙᲚᲝᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ. ᲓᲐᲣᲑᲔᲭᲓᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲛ

ᲐᲛ 1877 ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲔ

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ (ᲑᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲡᲢ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ). ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ.

ᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ—3 ᲛᲐᲜ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲝᲜ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲔᲑᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ.

ᲒᲝᲠᲨᲘ—ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲢᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲑᲣᲤᲔᲢᲨᲘ.

ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ᲡᲕᲘᲛᲝᲜ ᲩᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲢᲠᲐᲞᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ, ᲑᲣᲚᲕᲐᲠᲗᲐᲜ,

ᲑᲔᲭᲐᲗᲣᲨᲐᲜᲨᲘ—ᲡᲢᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲑᲣᲤᲔᲢᲨᲘ,

ᲮᲐᲨᲣᲠᲨᲘ (ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲨᲘ)—ᲡᲢᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲑᲣᲤᲔᲢᲨᲘ,

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲡ—ᲣᲤ. ᲐᲚ. ᲕᲐᲠᲫᲔᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

(ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ)

ᲧᲐᲠᲐᲘᲐᲚᲘ, 27 ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔᲡ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛ ᲗᲕᲘᲡ 20-ᲘᲡᲐ ᲓᲐ 21-ᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ (ᲐᲚᲐᲒᲔᲑᲘ) ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ, ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲛᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲦᲐᲛᲘᲗ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲔᲡ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲧᲘᲖᲘᲚ-ᲗᲐᲤᲐᲪ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲘᲔᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲐᲚ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲓᲐ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ ᲰᲐᲯᲘ-ᲨᲐᲚᲘᲡ, ᲡᲣᲑᲑᲝᲢᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲭᲣᲚ-ᲨᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲚᲘᲜᲘᲐ.

—

ᲕᲔᲜᲐ, 27 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲣᲠᲡ. ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲦᲐᲛ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲛᲐ ᲓᲐᲮᲔᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲓ-ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲘᲛᲐᲗᲐᲝᲡ:

„ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲩᲔᲜᲗ ᲘᲡᲔᲗᲘᲡᲐᲕᲔ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲘᲡᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲛ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲩᲔᲜᲗ. ᲔᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲒᲘᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲘᲡᲠᲣᲚᲔᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ ᲘᲛ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲠᲘᲪ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ.“

ᲞᲠᲐ�გᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲦᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲐᲐ.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲘ, 25-Ს, ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔᲡ („ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ). ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲒᲔᲑᲓᲘᲗ ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲜ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲗᲕᲘᲡ 20-ᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲐᲥ �გᲐᲪᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲣᲰᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐᲡᲗᲐᲜ. ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲑᲓᲘᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲐᲜᲣ ᲠᲘᲗᲘ ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲕᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲐᲛ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲪᲝᲢᲐᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲛᲝᲒᲬᲔᲠᲗ.

20-ᲓᲐᲜ ᲐᲚᲘᲝᲜ ᲓᲘᲚᲘᲗᲒᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲑᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲒᲐᲜ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲐ ᲝᲠᲗᲐᲕ ᲛᲮᲠᲘᲕ.

ᲧᲘᲖᲘᲚ-ᲗᲐᲤᲘᲡ ᲛᲗᲐᲡ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲰᲗᲐᲠᲡ ᲘᲒᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ.

ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲪᲓᲒᲘᲜᲔᲗ: ᲐᲛ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚ, ᲛᲗᲐᲡ ᲡᲐᲛᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲣᲨᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓ-ᲒᲣᲜᲓᲐᲗ, ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲘᲐ ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲡᲐ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲡᲩᲐᲜᲓᲐ, ᲐᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲐᲛᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔ. ᲐᲚᲛᲝᲡᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲜᲒᲔᲑ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲔᲠᲗᲐᲜᲗᲐᲒᲣᲚᲘ, ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ, ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲐ ᲐᲛ ᲧᲘᲖᲘᲚ-ᲗᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ ᲒᲐᲜᲒᲔᲑ ᲮᲜᲓᲘᲡᲮᲐᲜ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲡ ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲗ ᲛᲘᲡᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲐᲛᲘᲗ ᲣᲜᲓᲝᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲔᲢᲧᲣᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲛᲣᲰᲗᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲗ ᲓᲐᲣᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲚᲘᲕ ᲐᲔᲦᲝᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲩᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲐᲚᲐᲒᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲗᲐᲖᲔ, ᲠᲘᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲰᲥᲕᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲐᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲗ ᲒᲐᲜᲨᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲨᲘᲚ-ᲗᲐᲤᲘᲓᲒᲐᲜ. ᲗᲣ ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲢᲧᲣᲔᲑᲘᲜᲐᲗ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲣᲨᲘᲚ-ᲗᲐᲤᲘᲡ ᲐᲢᲠᲘᲐᲓᲘᲡᲐ ᲛᲘᲐᲬᲕᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲣᲙᲐᲜᲘᲓᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲚᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡ-ᲫᲘᲒᲔᲑᲘᲗ. ᲐᲛ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲜᲓᲝᲛᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲛᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲘᲢᲘᲗᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲥᲔᲓᲒᲐᲜ ᲨᲔᲔᲫᲚᲝᲗ ᲡᲠᲣᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲔᲣᲤᲠᲗᲮᲔᲗ ᲛᲣᲰᲗᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲐᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲗᲐᲜ. ᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲐᲚᲜᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ, ᲗᲣ ᲒᲐᲮᲡᲝᲛᲡᲗ, 6-Ს ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲝᲛᲑᲘᲡᲗᲕᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲦᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲐᲠᲝᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲐᲨᲕᲔᲚᲔᲡ ᲛᲐᲡ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲐ, ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲔᲢᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕᲐᲪ ᲓᲐᲣᲢᲝᲕᲐ ᲘᲒᲘ ᲛᲢᲔᲠᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲛᲐ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲘᲡᲐ: ᲓᲘᲓᲘ ᲘᲐᲚᲜᲘᲡ ᲛᲗᲐ ᲐᲘᲦᲔᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲖᲘᲐᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲪ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲘᲐᲗ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲗ.

ᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲐᲚᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲘᲯᲜᲐᲕᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲗᲘᲡ ᲨᲣᲐ, ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲣᲪᲔᲑ ᲓᲐᲔᲡᲮᲜᲔᲜ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲘᲥ ᲛᲝᲤᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲛᲧᲝᲤ ᲝᲠ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲘᲡᲐ ᲐᲛᲝᲣᲭᲚᲔᲢᲘᲐᲗ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲐᲛᲘ.

ᲛᲔᲠᲛᲔ ᲐᲛ ᲛᲗᲘᲡ ᲬᲕᲔᲠᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲭᲔᲠᲘᲐᲗ ᲢᲧᲕᲔᲓ ᲝᲠᲐᲡ ᲙᲐᲪᲐᲛᲓᲘᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲓ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲗᲐᲜ-ᲓᲐ-ᲗᲐᲜ ᲧᲝᲚᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲓᲐᲣᲧᲠᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲮᲗᲘᲗᲝᲗᲝᲤᲘᲐᲠᲐᲚᲘ.

ᲐᲛ 20 ᲓᲦᲔᲡᲕᲔ ᲣᲐᲠᲡᲘᲡ ᲪᲮᲘᲓᲓᲐᲜ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲐᲜ ᲛᲝᲡᲐᲛᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ 19 ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲥᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲯᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲝᲜᲘ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲣᲐ ᲒᲖᲐᲖᲔᲓ ᲓᲐᲮᲕᲔᲓᲠᲘᲐᲜ ᲐᲛᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲧᲐᲖᲮᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲔᲚᲔᲕᲐ-ᲭᲚᲔᲢᲘᲗ ᲘᲡᲔᲕ ᲣᲙᲐᲜ ᲣᲪᲔᲕᲘᲐᲗ.

მეორე დღეს იყო კიდევ ზარბაზნების სროლა Უაზილ-Თაფიდგან და ჩვენების ტრიალ მინდორზე გაშენებულ ბატტარეებიდგან; მაგრამ არ იყო ისე გაგრძელებული და გაცხარებული, როგორც წინა დღეს.

მესამე დღეს კი ზარბაზნები გააჩუმეს და ჰქონდათ მხოლოდ აქა-იქ უბრალო შეტაკება.

ასე გამოიჩინეს ჩვენებმა ოსტატობა და დიღის მხნეობით აიღეს Დიდი Იაღნის მთა; მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, უწყლოობისა გამო, იმ ღამესვე დაანებეს მას თავი...

Გ. Წ—ძე

ᲐᲛ თვის 20-სა და 21-ს რომ ჩვენებს მუხთარ-ფაშასთან შეტაკება ჰქონდა, ამის თაობაზე „Მოსკოვის Უწყებების“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია:

„ᲩᲕᲔᲜᲘ განზრახვა ის არის, რომ Მუხთარ-ფაშის არმიას Უარსის გზა შეუკრას და სამზღვარზე მიამწყვდიოს. Თუ ეს განზრახვა შეასრულა ჩვენმა ჯარმა ამ ბრძოლაში, ეს დიდი გამარჯვება იქნება.

„Თავის მხრით Ოსმალოებიც, უეჭველია, მარცხნივ მოაწყვეებიან ჩვენს ჯარს იმ განზრახვით, რომ ეს ჯარი Უარსსა და თავის არმიას შუა მოამწყვდიონ.

„Აქედამ სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ბრძოლას, რომლის დაწყება ეს არის ახლა გვაცნობა ჩვენმა Უარაიალელმა კორრესპონდენტმა. Თითეული ამ Მცირე Აზიის კომპანიის ბედი მხოლოთ მაშინ შეიცვლება, თუ ყველგან დავამარცხებთ ჩვენ Მუხთარ-ფაშის არმიას...“

—

Დაღესტანში არეულობის თაობაზე გაზეთი „Голосъ“ (№ 222) ამბობს:

„Არა-ერთხელ გვითქვამს ჩვენ, რომ ჩვენი მთიულების მშვიდობიანობა ანუ აჯანყება Მცირე Აზიაში ბრძოლის მსვლელობაზედაა დამოკიდებული. Ახლანდელ ამ ბრძოლის საქმეს, უეჭველია, დიდი გავლენა ჰქონდა Ლეკებზე და ჩეჩნებზე; ბრძოლის საქმე რომ ასე დაგვიანდა Უარსთან—ამას მთიულები ჩვენის ჯარის სისუსტეს მიაწერენ და იმედი მიეცათ, რომ დაუსჯელად შეუძლიანთ წინააღმდეგობა გაგვიწიონ.

„Რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენს ჯარს ძალიან ადვილად შეუძლიან აჯანყებულების გროვა გაჰფანტოს და დაამარცხოს; მაგრამ სრული მშვიდობიანობა Დაღესტანში და ჩეჩნებში მხოლოთ მაშინ ჩამოყარდება, როდესაც Ოსმალოს ჯარს დაამარცხებთ ჩვენ და Რუსეთის სამზღვრებიდამ გავრეკავთ.“

—

Ამავე გაზეთის კორრესპონდენტი ასე აგვიწერს Ოსმალოს ჯარისაგან დატოვებულ სოხუმს:

„Როგორც მოგეხსენებათ, 20 აგვისტოს სულ გაელაგნენ ოსმალოები სოხუმიდამ. Საკოდაობაა ახლა ამ ქალაქის ნახვა. Თითეული ეს ქალაქი წარმოადგენს ცეცხლისაგან დარჩენილ ნანგრევს; ყველგან ცარიელი კედლები და ბუხრები დარჩენილან; მხოლოთ სამი სახლი გადარჩენია ცეცხლს, რომელიც წასელის წინათ წაუკიდეს ოსმალებმა. Მაიაკი გაფუჭებულია; ჩინებული ბოტანიკური ბაღი, რომელშიაც ძვირფასი, ტროპიული მცენარეები იზრდებოდნენ, სულ განადგურებული და აჭრილია. Ალაგ-ალაგ დახოცილი და დამახინჯებული კაცები ეყარნენ.

„ᲩᲕᲔᲜ დაგვრჩა 50,000 თავი საქონელი, რომლის განაწილემამ ჩვენს ჯარში დიდი აყალ-მაყალი და უსიამოვნება ასტეხა; მაგრამ ბოლოს მორიგდნენ, უმფროსებს საუფროსოერგოთ....

„Ამ ჟამად Აფხაზეთში 8,000 კაცი გვყავს, ღენ.-მაიორის Შოლკოვნიკოვის წინამძღოლობით. Საზამთროთ ვემზადებით. Ჩვენი სურსათი და ღოშპიტლები Ლქუმშია და Მოქვისა და Დრანდის მონასტრებში.

„Უეჭველია, რომ ყურადღების ღირსი აქეთკენ არა მოხდება-რა; მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ Ოსმალოები კიდევ გვეწვევიან და ზღვიდამ ზარბაზნების სროლას არ მოგვაკლებენ.“

—

Ვენის გაზეთს „Politiche Correspondenz“-ში მოყვანილია შემდეგი ცნობები სოხუმიდამ გადასახლებულ Აფხაზებზე:

„Ოსმალეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ Აფხაზები Მაკედონიაში და Არხიპელაგის კუნძულებზე დაასახლოს. Რამდენიმე ხომალდით გამოიყვანეს უკვე ისინი Სტამბოლიდამ და Სალონიკში და Ხმელთა-შუა ზღვის კუნძულებზე გაგზავნეს.

„Რამდენმამე ოჯახმა, რომელნიც Ტრაპიზონში იყვნენ გამოყვანილნი, Იტალიის ელჩის საშუალებით ითხოვეს, რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ Სამეგრელოს სამზღვრიდამაო და თუ შეიძლება, ისევ უკან დაგვაბრუნეთო. Ოსმალეთის მთავრობამ იმ წამსვე ხომალდი მისცა იმათ იმ განზრახვით, რომ ჩასხდნენ და სადაც უნდათ გამოვიდნენ Ქავკასიის ნაპირზე.“

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

Ჟენევის გაზეთში—„Journal de Genève“-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა, რომელიც იმას პეშტიდამ მიუღია 19 ენკენისთვეს:

„Რამდენიმე ასი ოსმალო სილისტრიასთან გადავიდნენ Დუნაის მარცხენა ნაპირზე, Რუმინიაში, და გამაგრდნენ იქ. Ამბობენ, იმათ განზრახვა აქვთო Ბალაციდამ Ბუხარესტში მიმავალი რკინის გზა გაფუჭონ, რომ ამ ნაირად Რუსისა და Რუმინიის ჯარებს სურსათისა და ახალი ჯარების მოსაყვანი საშუალება მოუსპონ.“

—

Როგორც ინგლისური გაზეთი „Daily News“ გვაცნობებს, შეიქეთ-ფაშა, რომელმანც ასე მხნეთ შეებრძოლა ამას წინათ Რლევნაში 12,000 კაცი, ახლა კიდევ ემზადება თურმე, რომ ახალი ჯარები, სურსათითა და ტყვია-წამლით გაგზავნოს Ოსმან-ფაშის მისაშველებლად.

—

Მეორე ინგლისური გაზეთის „Daily Telegraph“-ის კორრესპონდენტი Შიპკოდამ იწერება 15 ენკენისთვეს:

„Თოვლი და წვიმა დაიწყო აქეთკენ Ბალკანის მთებზე და ამას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ დროს ორივე მოწინააღმდეგენი გაჩერებული არიან.

„Მე თვითონ რამდენჯერმე დავესწარ Ოსმალოების არტილერიის მოქმედების დროს და შემიძლიან ვსთქვა, რომ Ოსმალოები ჩინებულად ისვრიან თავიანთ ზარბაზნებიდამ; ამათი ყუმბარები თითქმის მუდამ პირ-და-პირ Რუსის ჯარში და სიმაგრეებში ვარდება და საკმაო ზიანსაც აძლევს იმათა. Მე მგონია, რომ Რუსები დიდხანს აღარ დარჩებიან Შიპკოში. Ოსმალოები კიდევ ემზადებიან აქ რუსებზე დაცემას, და თუმცა მუდამ დიდი ზიანი ეძლევათ, იერიშით მისვლის დროს, მაგრამ Სულეიმან-ფაშა ამას არ დასდევს, ოღონდ თავის განზრახვა შეასრულოს.“

—

„Მოსკოვის Უწყებებში“ დაბეჭდილია ახლა დაწვრილებითი ამბავი იმ შეთქმულებაზე, რომელიც ამ დღეებში ამოუჩენიათ Ვენგრიაში და რომლის განზრახვა ის იყო, რომ რამდენიმე ათასი დაიარაღებული Ვენგრიელები შეცვივნულიყვნენ Რუმინიაში, გეეფუჭებიათ იქაური რკინის გზები და ამნაირად რუსებისათვის ახალი ჯარების მოსაყვანი გზა შეეკრათ:

„Ბამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ საქმეში უმთავრესი ბრალი Ვენგრიის სეიმის დეპუტატებს ედებათ; მოთავენი ყოფილან: Კოშუტი, Კლაპკა და დეპუტატი Ბელფი. Თუმცა Კლაპკამ გაზეთებში გამოაცხადა, რომ მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია ამ შეთქმულობაშიო, მაგრამ დოკუმენტები ამტყუვნებენ იმის. Ფულები ამსაქმისთვის Ინგლისის პარლამენტის ერთს დეპუტატს Ჯონსტონს მიუცია. Ამ საქმისთვისვე Ლონდონიდამ ყოფილა Ვენაში მოსული Მიტჰხად-ფაშაც.

„Ვენაში და Ვენგრიაში რკინის გზებზე დიდ ძალი ყუთები დაიჭირეს თოფებით და ტყვია-წამლით სავსე. Ბევრი ხალხია დატუსაღებული.“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** Თფილისის ქუჩებში აკრული განცხადება გვაუწყებს, რომ სახალხო სეირნობა, რომელიც Მცირე Აზიიდამ გა-

დმოსახლებულ სომხების სასარგებლოთ უნდა ყოფილიყო გასულ კვირას და ცუდი ამინდის გამო ვერ მოხერხდა, დღეს, ხუთშაბათს იქნება. ალექსანდროვის ბაღში ამ დღისათვის დიდი მზადებაა.

*** კავკასიის არხეოლოგიური საზოგადოება აცხადებს, რომ იმას ყოველ თვეში ორჯელ ექნება სხდომები, თვის 3-სა და 18-ს და იმ სხდომაზე, რომელიც 18-ს იქნება, გარეშე პირებსაც უფლება აქვთ იყონ.

*** ჩვენ მივიღეთ ოზურგეთიდამ შემდეგი შენიშვნა.

„ოც-და-ერთს ამ თვისას, მისკის პოლკის სალდათმა მდინარეს ჯურჯის პირზედ თავი ჩამოიხრჩო. მიზეზს იმას ამბობენ, რომ, ვითომც ის უნდა ყოფილიყოს საიდუმლო სენით ავათ და ექიმებს ყურადღება არ მიექციოსთ.

„მს სწორედ ასე უნდა იყოს. აქაური ექიმები იმისთანა კაცებს ევლებიან თავს, ვისაც პრტყელი ეპოლეტები აქვს მხარზედ გადაკერებული ანუ სქელი ჯიბე. სხვას კი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

„მაგალითს მოგახსენებთ: ერთი ჩემი ნაცნობი ძრიელ ავად იყო მუცლის ალხით და წავიდა ექიმთან; მივიდა თუ არა, ექიმმა გამოუგზავნა კაცი და ჰკითხა ბიჭის პირით, სამსახურში ხართ სადმე, თუ არაო?—სამსახურში ვარო, შეუთვალა ავათმყოფმა, რომელიც ნამეტანი სისუსტით ძლივს იდგა ფეხზე. მაგრამ კიდევ გამოუგზავნა ბიჭი: სამოქალაქო ნაწილში, თუ სამხედროშიო? ბოლოს შეწუხებულმა ავათმყოფმა შეუთვალა, რომ მე არსად არა ვარ სამსახურში, მე ვარ ავათ და მინდა ექიმის ნახვაო. გამოვიდა ბიჭი და უთხრა: „ბატონმა პასუხი არ შემოთვალაო!“

სადაც ამისთანა ექიმები არიან, რა თქმა უნდა, რომ ხალხი დაიხოცება უყურადღებლობით. მიკვირს, როგორ არ ამოწყვიტა ბურიაში ხალხი მუცლის ალხმა!“

პარმენ მიქელაძე

„დროების“ კორესპონდენცია

ქუთაისი, 24 სექტემბერს. (**დასასრული**). ჩვენ გვეჭვირება კერძო პირების თაოსნობა, ინიციატივა და მცოდნე და ხალხის ბედისადმი გულ-მომატკივარ პირების თავ-გამოდებული მზრუნველობა; იმათ უნდა, ჩვენი პერიოდული გამოცემაების შემწეობით და სხვა ყოველ გვარ საშუალებით, გააგებინონ ხალხს, როგორც გიგიენური სახსრები, აგრეთვე თვით უადვილესი მედიკური ღონის-ძიებანი, რაც განათლებულ ევროპას უხმარია ამ გვარი სნეულების მოსასპობლად.

ბარდა ამისა საჭიროა, რომ ყველა მაზრებში, მართებლოლის დასახმარებით შეადგინონ კომიტეტები, რომელთაც იხმაროან ჯეროვანი ზომები გიგინეური სახსრების სისრულეში მოსაყვანათ და იზრუნონ, მისცენ ხალხს რიგიანი პრაკტიკული საშუალებები ავათმყოფი პირუტყვების მოსარჩენად.

საუბედუროდ, ჩვენში ამჟამად ჯერ-ჯეროობით მარტო იგივე დოქტორი ბაბოვი სწევს ამ მძიმე უღელს და თავისი მარტოობით ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს სამწუხარო ფაქტს, რომ ჩვენ ხალხისადმი გულ-შემატკივარნი პირები ერთობ ნაკლებათ გვყვანან.

ქუთაისში ამ დღეებში გამოვიდა და გაიგზავნა ყველა მაზრებში უფასოდ ასასობით დოქტორი ბაბოვის მიერ შედგენილი დაბეჭდილი ქართულს ენაზედ ვრცელი დარიგება და წამლობა ავათმყოფი პირუტყვებისა, რომელშიაც, გარდა ამისა ის ადმინისტრატიული და გიგიენური ზომებიც არის მოყვანილი, რომელიც ჯანმთელი პირუტყვების დასაცველად არიან აუცილებლად საჭირონი. იმედია, ჩვენი ხალხის ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და მუყაითათ აასრულებს ყველა იქ ნაჩვენებ საშუალებებს, რომელნიც დიდის გამოცდილებით არიან შედგენილნი და იმ ნაირად, რომ ხალხს გაუადვილდეს პირუტყვის მოვლა და წამლობა. სამწუხაროა, რომ ამ მშვენიერ დარიგებაებში, ბუბერნიის სამმართველოს თარჯიმნის წყალობით, აქა-იქ იპოვებიან ისეთი ადგილები, სადაც სრულებით შეცვლილია ავტორის აზრი და ზოგან სრულებით დამახინჯებული.

არ შემიძლია არ მოვიყვანო ორიოდე მუხლი ამ დარიგებისა, რომელნიც უფრო შეცვლილნი არიან და თხოულობენ დაუყონებლივ გასწორებას; აი ეს მუხლები: ავტორის აზრით, როდესაც პირუტყვი საჭმელს არა სჭამს, არ სვამს და აღარც ცოხნის და სიცხე აქვს სხეულში და ტანშიაც შეკრულია, მაშინ უნდა მოიტანოთ ერთი ვერმუტის ცარიელი ბოთლი და ჩაასხათ შიგ სანახევროდ კარგი ძმარი და წყალით შეამოთ და ძალით უნდა ჩაასხათ პირუტყვს პირში; ძმარის მაგიერად შეიძლება კაცმა იხმაროს მჟავე ხილის წვენი და ამნაირათვე წყალ გარეული დაალევინოს პირუტყვს.

ამ ორ წამალში, რომელიც უფრო ეადვილებოდეს ვისმეს, ის იხმაროს; ასე უნდა ქნათ დღეში ორჯერ. ბარდა ამისა უნდა ჩააყლაპონ პირუტყვს პურის ცომი ერთი ჩაის კოვზი დანაყული დოგვის კაკლით (გარჩიცით) არეული. ეაეც დღეში ორჯერ უნდა აჭამოთ.

თუ რომ სიცხე მომეტებული ექნება, მუცელში შეკრული იქნება, თვალები აუცრემლიანდება და პირუტყვი მეტისმეტათ შეწუხებულია, მაშინ ერთს ბოთლს წყალში აურევთ ერთი სტოლის კოვზი გვარჯილა, ანუ ორი კოვზი შინაური სახმარი მარილი და ორი კოვზი დაალევინეთ; გარჩიცა როგორც წინათ ესთქვით, ასე პურის ცომში აზელილი აჭამეთ,დღეში სამჯერ.თუფალარათი ექნება, მაშინ ზემომოყვანილი წამლები არ ეარგა; ფაღარათის დროს მარტო ეს ეხმარება: მუხის კანი უნდა ხარშოთ დიდხანს წყალში და იმის ნახარში წყალი უნდა ასვათ ხშირათ.

ნათარგმნში ეს წამლობა სრულებით შეცვლილია: მაგალითებრ, ნაცვლად პურის ცომისა, იქ არის დანიშნული „საფუარი“ და სხვ.

ი. — ლი

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი და სერბია

იმ დღიდამ (ამ 12 აპრილიდამ) დაწყებული, რაც რუსეთმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა, გაზეთები მუდამ ამბობენ და ყვირიან, რომ სერბიაც გაცხარებულად ემზადება საომრად და ჰა დღეს ჰა ხვალ ისიც ომს გამოუცხადებს ოსმალეთსაო. მას აქეთ უცდით და არა ეშველა-რა!

აი ახლაც იწერებიან, რომ სერბიის მთავარმა მილანმა ნოტა გაუგზავნა ოსმალეთსაო, რომ ჯარები მომაშორე სამზღვრიდამაო, თორემ ჩემი ხალხი ერთობ აღელვებულია და იძულებული ვიქნები ომი გამოგიცხადოო. ამბობენ, რომ როგორც ამ წინადადებაზე უარი მოუვა პორტასაგან, იმ წამსვე ომს გამოუცხადებს. იმასაც კი ამბობენ, რომ, თუ სერბიამ მართლა ომი გამოაცხადა, ხონთქარს გადაწყვეტილი აქვს, ფირმანი გამოსცეს, რომლის ძალითაც ახლანდელი სერბიის მთავარი მილანი ტახტიდამ გადაყენებულად უნდა ჩაითვალოსო და იმის მაგივრად ქარაგიორგიევიჩს აიყვანს ამ ტახტზედაო.

ინგლისი

იმ ხმების შესახებ, რომელნიც რუსეთისა და ოსმალეთის მორიგების თაობაზედ არის გავრცელებული, ლონდონის გაზეთი „Merning Post“ ამბობს:

„მორიგებაზე და შუამდგომლობაზე ლაპარაკიჯერ,სანამ არცერთმხარესმეორე არ დაუმარცხებია რიგიანათ, უდროოდ და უადგილოა; მით უფრო, რომ არცერთი მოწინააღმდეგე მხარე არ თანხმდება არც სამუდამოთ და არც დროებით შერიგებაზედ.

„ევროპის სახელმწიფოების მეცადინე-

ობა ახლა მხოლოთ იმაზე უნდა იყოს მიქცეული, რომ ამ ბრძოლაში სხვა რომელიმე გარეშე სახელმწიფო არ ჩაერიოს, რომ აცალონ მებრძოლთ თავიანთ ანგარიშების გასწორება. თორემ, თუ ერთი რომელიმე სახელმწიფო ჩაერია ბრძოლაში, უეჭველია, რომ მაშინ მთელი Ევროპა აირევა და სხვებიც იძულებული შეიქნებიან, რომ ამ საზოგადო სისხლის ღვრაში მონაწილეობა მიიღონ.“

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲡᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ამ ბანკის წესდების § 83 მუხლის ძალითა და 23 ენკინისთვეს დადგენილის განაჩენის საფუძვლით, აცხადებს, რომ იმ საგნებს გარდა, რომელნიც მომავალ 10 ღვინობისთვის საზოგადო კრებაზე უნდა განიხილონ ბანკის დამწესებელთა, კიდევ შემდეგ საგანზე იქნება სჯა:

მიღებულ იქმნენ, თუ არა, ბანკის წევრებად და დამწესებლებად ის თფილისის გუბერნიის ადგილ-მამულის მოპატრონე თავად-აზნაურნი, რომელთაც გლეხების განსათავისუფლებელი ფული მიიღეს და რომელნიც ახლა ისურვებენ მთელი იმ ფულის ერთად შემოტანას ბანკში, რომელიც 29 ნოემბრის 1872 წლის საზოგადო კრების პროტოკოლის ძალით იმათ უნდა შემოიტანონ.

(3—3)

ᲒᲚᲝᲕᲐ
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲘᲡᲐ

თქმული სოლომონ მსაჯულისაგან ბამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან ისყიდება ᲛᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ“ ფასი ერთი შაური

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲒᲝᲚᲝᲡᲘ“-ᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡᲐ

(თფილისში, ბოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლები) ᲘᲚᲔᲑᲡ

Ა). **ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲡ, ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ** შესანიშნავს აწმყო შემთხვევებზედ,

Ბ). **ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲡ „ᲒᲝᲚᲝᲡᲘ“-ᲖᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲕᲐᲓᲘᲗᲐ** და

Გ) **ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲗ** საზოგადოთ გასაგებს ენებზედ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲒᲝᲚᲝᲡᲘ“-ᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔ №№ (ეგზემპლიარი ორ შაურად) **ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ:**

Ა). **ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ:**

I და II განყოფილებაში უფ. **Გ. Ი. ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ** მაღაზიებში (ბოლოვინის პროსპექტი, მდივანის სახლები) და **ᲒᲠᲘᲫᲣᲠᲝᲕᲗᲐᲜ** (Кавказская Книжная Торговля)—წიგნის მაღაზიებში.

Ბ). **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—ᲡᲕ. ᲩᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ** (ტიპოგრაფიაში)

Გ). **ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲨᲘ—ᲣᲤ. ᲬᲘᲚᲝᲡᲐᲜᲗᲐᲜ.**

ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲬᲘᲬᲔᲕᲔᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲫᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲘᲗᲐ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲒᲝᲚᲝᲡᲘ“-ᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔ №№ ᲒᲐᲡᲐᲡᲧᲘᲓᲕᲔᲚᲐᲓ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(4-ს აპრილის სასხოვრად)

Ერევნის მაედანზე, **ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲝᲕᲘᲡ** სახლებში.

Ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ექიმი **ᲛᲘᲜᲙᲘᲔᲕᲘᲩᲘ—ᲮᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚ** ავათმყოფობისათვის, **ᲖᲐᲠᲚᲔᲕᲘᲩᲘ** და **ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ**—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: **ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ** და **ᲛᲐᲠᲙᲐᲠᲝᲕᲘ**—შინაგანი ავათმყოფობისათვის, **ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲔᲕᲘ**—თვალის ექიმი.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: **ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ**—შინაგანი ავათმყოფ., **ᲫᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘ**—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: **ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ**—შინაგან ავათმყოფობისათვის.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ: **ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ** და **ᲐᲡᲐᲢᲣᲠᲝᲕᲘ**—შინაგანი ავათმყოფობისათვის და **ᲛᲘᲜᲙᲔᲕᲘᲩᲘ**—ხირურგიულისთვის.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: **ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ** და **ᲛᲐᲠᲙᲐᲠᲝᲕᲘ**—შინაგანი ავათმყოფ., **ᲫᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘ**—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და **ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲔᲕᲘ**—თვალის ავათმყოფობის

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲘᲓᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲓᲐᲛ

ᲚᲔᲥᲡᲘ

Თ. Ი. Ზ. ᲩᲝᲚᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲖᲔᲓ

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ

ᲗᲥᲛᲣᲚᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲘᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

ᲤᲐᲡᲘ ყველგან ორი შაური.

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲙᲐᲠᲘ
„ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘ“

ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲓᲐ და ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ, **ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ:** **ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** სტამბაში და სხვა წიგნის მაღაზიებში. **ᲡᲐᲐᲠᲡᲣᲚᲘᲓᲒᲐᲜ** ქართულს ენაზე ნათარგმნი თავის სურათებით. **ᲤᲐᲡᲘ** 40 კაპ. (ორი აბაზი). ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ზემოხსენებულ ადგილებში I, II, III, და IV კარი **ᲥᲐᲠᲐᲛᲜᲘᲐᲜᲘᲡᲐ.**

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: გუბერნიის სტამბაში **ᲡᲘᲛᲝᲜ ᲩᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ.**

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ᲧᲕირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ᲐᲮ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ᲤᲝთი. . .	9	40			9	75	5	42
ᲤᲝთი . .	9	13						
ᲐᲮ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
Ყკირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მ.	კაპ
ᲝᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:		
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲤᲝᲗᲘᲡ . .	1	—
ᲑᲝᲠᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲡ, ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲡ	-	50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡ, ᲝᲓᲔᲡᲐᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . .	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ	3	75
ᲤᲝᲚᲨᲢᲐ		
Ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲡ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲠᲨ. და ᲡᲐᲛᲨ. ᲠᲖᲣᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. და ᲝᲠᲨ. ᲥᲐᲮᲔᲗᲡ—ᲡᲐᲛᲨ. და ᲨᲐᲑ. Ბ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ და ᲤᲝᲗᲘᲡᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲠᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ—ᲝᲠᲨ. და ᲞᲐᲠᲐᲡᲙ.		
ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲒᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ:		**ᲙᲐᲞ**
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ		4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (ᲡᲐᲛᲘ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲚᲘ) .		8

ᲑᲘᲠᲟᲐ

	მან.	კაპ
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 21 ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡ.		
ᲔᲠᲗᲘ ᲐᲜᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲘᲡ:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ 24 ᲞᲔᲜᲡᲘ.	—	78
ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ 259 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ.	—	81
ᲔᲡᲙᲝᲜᲢᲘ(ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡᲤᲐᲡᲘ)	7½	—
ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ 5%	94	—
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ)	208	25
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ (ᲛᲔᲝᲠᲔ ᲮᲔᲣᲚᲘ)	208	75
ᲑᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ:		
ᲗᲤᲘᲚ. ᲡᲐᲐᲖ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ.	—	--
ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ (5½	85	25
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ (5%). . .	85	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ	177	—
ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚ.ᲠᲙᲜ. ᲒᲖᲘᲡ	—	—
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲪᲔᲪᲮ. ᲒᲐᲛᲔᲑᲘᲡ	527	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ და ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡ. .	225	—
ᲞᲘᲠᲕ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖᲝᲒ.	745	50
ᲞᲔᲢᲔᲠᲑ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	235	50
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	268	—

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲞ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 27 ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡ.		
ᲤᲥᲕ. ᲗᲝᲗ. ᲒᲐᲜᲯᲘᲡ, ᲤᲣᲗ.	1	90
ᲤᲥᲕᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ. . .	1	45
ᲭᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ. . . .	1	25
ᲒᲐᲛᲑᲐ ᲘᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	8	20
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ. .	8	50
ᲒᲐᲠᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗ.	9	50
ᲛᲐᲢᲧᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲣᲗ.	7	—
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ. .	3	50
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲡᲢ.	3	--
ᲭᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	5	80
ᲭᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	8	—
ᲡᲢᲔᲤᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, ᲤᲣ.	12	54
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲝᲮᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ.	—	54
—ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ. .	—	63
ᲡᲞᲘᲠᲢᲘ, ᲒᲠᲐᲓᲣᲡᲘ .	—	12
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	8	20
—ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	7	20
ᲧᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲐᲚᲘ, ᲤᲣᲗᲘ .	26	—
ᲖᲔᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ.	12	—
ᲝᲥᲠᲝ ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ. .	8	90

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Сентября 1877 г. Типографія Меликова. ᲑᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ.ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.